საქართველოში კორონავირუსის (2019 Novel Coronavirus) მა[illegible]ვის საკოორდინაციო კომისია

სხდომის ოქმი N4

ჩატარების ადგილი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

თარიღი: 2020 წლის 9 მარტი

სხდომას ესწრებოდნენ:

ეკატერინე ტიკარაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (შემდგომში-მინისტრი), კომისიის თავმჯდომარე;

თამარ გაბუნია - მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი ჭავჭავაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ეკა ადამია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკ[illegible] დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

გვანცა გასვიანი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

ბექა ჯაყელი - საქართველოს ოკუპირებული ტერ[illegible]ტორიებიდან დეი[illegible]ილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საფინ[illegible]სო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

თინათინ ხარძიანი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

მაია ნიკოლეიშვილი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

საქართველოში კორონავირუსის (2019 Novel Coronavirus) მართვის საკოორდინაციო კომისია

ანა დარახველიძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

ნინო მამალაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/ საკონსულტაციო მომსახურების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

ავთანდილ თალაკვაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორი, კომისიის წევრი;

განსახილველი საკითხები:

- ამ ეტაპისთვის კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებული სიტუაციური ანალიზი;
- საჭიროებების შეფასება;
- არსებული პრობლემები;
- შესაბამისი ღონისძიებების გატარებისთვის საჭირო ადმინისტრაციული საკითხები.

კომისიის სხდომა გახსნა მინისტრმა, რომელმაც შეაფასა არსებული მდგომარეობა და სთხოვა ყველა პასუხისმგებელ უწყებას, წარმოედგინათ აქტივობების ეფექტურად განხორციელებისთვის აუცილებელი საჭიროებები, ისაუბრა პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის განსახორციელებელ ღონისძიებებზე და რესურსების სწორად გადანაწილების აუცილებლობაზე.

ქალბატონმა თამარ გაბუნიამ მიმოიხილა ამ ეტაპისთვის განხორციელებული აქტივობები. ყურადღება გამახვილდა პირველადი ჯანდაცვის სექტორის მომზადებაზე. 2 მარტიდან გააქტიურებულია 112 სატელეფონო ზარის გადართვა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში (4 მორიგე დაწესებულება). უახლოეს დღეებში დაგეგმილია პირველადი ჯანდაცვის ექიმების ტრენინგი კორონავირუსთან დაკავშირებით. ასევე, ველოდებით COVID-19 კლინიკური მართვის გაიდლაინს, რომელზეც მუშაობენ ექსპერტები და უახლოეს დღეებში წარმოდგენილ იქნება დასამტკიცებლად.

კომისიის სხდომაზე ასევე, წამოიჭრა საკითხი COVID-19 დიაგნოსტიკური კვლევის დეცენტრალიზაციის საკითხზე. ამ ეტაპზე, დიაგნოსტიკური კვლევა ტარდება მხოლოდ

ლუგარის ლაბორატორიის ბაზაზე, ვირუსის გავრცელებისადმი მზადყოფნისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია, კვლევის ჩატარების გაფართოვება ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის ნსდს-ს რეგიონული ლაბორატორიებისა და სამკურნალო დაწესებულებების ბაზაზეც.

ერთ-ერთ საკითხად, სდომაზე გამოტანილი იყო საკარანტინო სივრცეების საკითხი. კერძოდ, ამ ეტაპზე, მაღალი რისკის ქვეყნების ჩამონათვალის ზრდის შესაბამისად, მგზავრთა გაზრდილი ნაკადისათვის არასაკმარისია სამინისტროს რესურსით მოძიებული სივრცეები. მსჯელობის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა აღნიშნული სივრცეების მოძიება ეთხოვოს ეკონომიკის სამინისტროს.

ასევე, მნიშვნელოვანი საკითხია საკარანტინე სივრცეების, ასევე, COVID-19 დადასტურებული და დაუდასტურებელი შემთხვევების დაფინანსების საკითხი.

საკარანტინე სივრცეების დაფინანსების მექანიზმად, მიზანშეწონილად ჩაითვალა მომსახურების ანაზღაურება ფაქტობრივი ხარჯით, მაგრამ არაუმეტეს თითოეულ ბენეფიციარზე დღიურად 150 ლარისა. მომსახურება მოიცავს განთავსების, კვების, დასუფთავების და ბენეფიციარებზე ზედამხედველობის ხარჯებს.

ასევე, მნიშვნელოვანია აღნიშნულ სივრცეებში მოთავსებულ პირთათვის სამედიცინო კონსულტაციისა და პირველადი სამედიცინო დანიშნულების საგნებიო/მედიკამენტებით უზრუნველყოფა, რომელსაც განახორციელებს სააგენტო და ანაზღაურება მოხდება ფაქტობრივი ხარჯით.

სხდომაზე ასევე, განხილულ იქნა „შპს აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ დაფინანსების საკითხი. COVID-19-ის შესაძლო შემთხვევების გავრცელების პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების კონტროლის, რეაგირებისა და მზადყოფნის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით ა.წ 2 მარტს განხორციელდა „შპს აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკიდან“ მიმდინარე პაციენტების გადაყვანა (მოხდა მისი სრული ფაცლა) შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებში. აღნიშნული კლინიკა მომზადდა, როგორც COVID -19-ის შესაძლო შემთხვევების სამედიცინო მეთვალყურეობისთვის, ასევე კორონავირუსის საეჭვო და/ან დადასტურებული შემთხვევის სამართავად.

ახალი კორონავირუსის საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, მიზანშეწონილად ჩაითვალა კლინიკის გარკვეული საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა.

ბატონმა გიორგი წოწკოლაურმა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან კომუნიკაციის საფუძველზე, სხდომას მოახსენა ,,2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებაში დამატებითი პროგრამული კოდის გაჩენის შესახებ. კერძოდ, დაემატება „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ სახელმწიფო

საქართველოში კორონავირუსის (2019 Novel Coronavirus) მართვის საკოორდინაციო კომისია

პროგრამა, რომლის დასაფინანსებლად გამოყენებულ იქნება სამინისტროსთვის დამტკიცებული პროგრამული კლასიფიკაციის პროგრამული კოდი - 27 03 03 11. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის მობილიზებულ იქნება დაახლეობით 40 000 000 ლარი.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული უნდა იქნას, ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვისთვის საჭირო საშუალებების შესყიდვის (პროგრამული კოდი 27 03 03 11 01) კომპონენტი და ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვისთვის გასატარებელი ღონისძიებების (პროგრამული კოდი 27 03 03 11 02) კომპონენტი.

შესყიდვის კომპონენტთან დაკავშირებით, ბატონმა ავთანდილ თალაკვაძემ წარმოადგინა შესასყიდი საქონლის (მათ შორის, პირადი დაცვის საშუალებები, სადეზინფექციო საშუალებები და სხვა) ჩამონათვალი, განახლებული რაოდენობებით.

ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ წინა სხდომებზე შეთანხმებული და გათვალსიწინებული შესასყიდი საქონლის რაოდენობების შესყიდვა ვერ ხორციელდება დაგეგმილი სრული ოდენობებით, მსოფლიოს მასშტაბით აღნიშნულ საქონელზე დაფიქსირებული გაზრდილი მოთხოვნებისა და დეფიციტების გამო, ასევე, აღნიშნულს ხელს უშლის სხვადასხვა ქვეყნებში დაწესებული რეგულაციები და შეზღუდვები. მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე, გაზრდილი ღირებულებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გლობალურად შექმნილი დეფიციტებიდან, ქვეყანაში დაფიქსირებული გაზრდილი მოთხოვნიდან, მოწოდების ვადების ხანგრძლივობიდან სხვა ტექნიკური მიზეზებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა შემდგომი შესყიდვები განხორციელდეს გაზრდილი რაოდენობებით, საგანგებოს მიერ წარმოდგენილი განახლებული, თანდართული ცხრილის შესაბამისად.

ადმინისტრაციას დაევალა მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად შესყიდვების სასწრაფოდ განხორციელება და კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით დაფინანსების წყაროს შერჩევა, ხოლო პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის პოლიტიკის სამმართველოს შესაბამისი პროგრამული ცვლილებების განხორციელება შესაბამის დადგენილებებში.

კომისიის თავმჯდომარე:

ეკატერინე ტიკარაძე

კომისიის მდივანი:

გვანცა გასვიანი

			დანართი
#	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	ჯამი
1	პერსონალური ბიოლოგიური დაცვის კომბინიზონი	ცალი	214,630
2	პერსონალური დაცვის ნიღაბი (N95/P2/P3)	ცალი	503,470
3	ბახილები (ბიოლოგიური დაცვით)	წყვილი	223,850
4	ხელთათმანი ნიტრილის	წყვილი	226,100
5	ხელთათმანი არასტერილური	წყვილი	2,413,570
6	მარტივი ქირურგიული ნიღაბი სამშრიანი	ცალი	4,305,000
7	პერსონალური დაცვის სათვალე	ცალი	68,385
8	სამედიცინო სახის დამცავი საშუალება (ფარი)	ცალი	30,630
9	ერთჯერადი სამედიცინო ხალათი	ცალი	185,850
10	ხელის სადეზინფექციო საშუალება	ცალი (1 ლიტრიან შეფუთვაში, ჩამოსასხმელი სისტემით)	109,175
11	ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო ხსნარი	ცალი	25,510
12	დისტანციური ელექტრო თერმომეტრი	ცალი	2,572
13	სამედიცონო თავსაბურავი	ცალი	185,800
14	სამედიცინო ბახილი	წყვილი	185,800
15	საიზოლაციო სატრანსპორტო კაფსულა ბიოსაიზოლაციო	კომპლექტი	15
16	ინფექციური პაციენტების საიზოლაციო ბოქსირებული კარვის კომპლექტი, კარვის დამაკავშირებელი მოწყობილობით	კომპლექტი	4
17	ხელოვნური სუნთქვის აპარატი - Hamilton T1, სატრანსპორტო, ჟანგბადის პორტატული ალუმინის ბალონით, შესაბამისი რედუქტორით. პორტატულ ბალონთან და ცენტრალურ სისტემასთან მიერთებისთვის საჭირო აქსესუარებით, კედელზე სამაგრი ქარხნული მოწყობილობებით, სათადარიგო მოზრდილთა და ნეონატოლოგიური კონტური. გარანტია 2 წელი (მოწოდების ვადა 45 დღე, ხელშეკრულების გაფორმებიდან)	კომპლექტი	19
18	დეფიბრილატორი, Mindray BeneHeart D3, ბიფაზური, პაციენტის მონიტორინგის შესაძლებლობით, მოზრდილთა და პედიატრიული, 360 ჯოული.	კომპლექტი	19
19	დეფიბრილატორი, Mindray, BeneHeart D3, ბიფაზური, პაციენტის მონიტორინგის შესაძლებლობით, მოზრდილთა და პედიატრიული, პეისინგის სისტემით, 360 ჯოული,	კომპლექტი	4
20	ხელოვნური სუნთქვის აპარატი, Mindray, Synovent E3, სუნთქვის სხვადასხვა რეჟმებით, მომუშავე წნეხილ ჟანგბადსა და აირზე, აკუმულატორით,ინტერაქტიული ფერად-თხევადკრისტალური ეკრანით, მოზრდილთა და პედიატრიულთა.	კომპლექტი	27
21	ხელოვნური სუნთქვის აპარატი, Mindray, SV300, ხელოვნური სუნთქვის აპარატი ტურბინით, აკუმულატორით,ინტერაქტიული ფერად-თხევადკრისტალური ეკრანით, მოზრდილთა და პედიატრიულთა.	კომპლექტი	3
22	ლინეომატი, Mindray, SP3, ერთარხიანი, ღია სისტემის, განკუთვნილი სხვადასხვა ზომის შპრიცებთან სამუშაოდ, აკუმულატორით, ფერად-თხევადკრისტალური ეკრანით.	კომპლექტი	30
23	პაციენტის მონიტორი, Mindray, Umec 10, სტანდარტული მონიტორინგის ფუნქციით (სატურაცია, ეკგ, არაინვაზიური წნევა, ტემპერატურა, პულსი, სუნთქვის სიხშირე)	კომპლექტი	30
24	ელექტრო ამომქაჩი, ჩინეთი, ორბალონიანი.	კომპლექტი	3
25	ელექტრო ამომქაჩი, Gima, 40 ლიტრი წუთში.	კომპლექტი	6
26	ელექტრო ამომქაჩი, იტალია, Gima uno, 15 ლიტრი წუთში.	კომპლექტი	7
27	ინჟექტორული ამომქაჩი, საფრანგეთი, Tecnology medicale, მომუშავე წნეხილ აირზე.	კომპლექტი	9
28	ცეტრალური ვაკუმი, საქაჩ აპართთან დასაკავშირებლად, Gima იტალია.	კომპლექტი	20
29	ამბუ (დიდების)	კომპლექტი	30
30	ლარინგოსკოპი, ოთხპირიანი, Gima იტალია.	კომპლექტი	25